

შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2015 წლის 24 აპრილი

დაბა შუახვევი

„შუახვევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №36 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება „შუახვევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №36 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შუახვევის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნოდარ ქარცივაძე

დანართი

შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი		2014 წლის გეგმა		2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	5616.155	6632.611	602.770	6029.841	7260.429	606.372	6654.057
გადასახადები	196.540	229.000	0.000	229.000	385.900	0.000	385.900
გრანტები	5074.723	6114.143	602.770	5511.373	6672.629	606.372	6066.257
სხვა შემოსავლები	344.892	289.468	0.000	289.468	201.900	0.000	201.900
ხარჯები	3886.835	4261.000	0.000	4261.000	4128.610	0.000	4128.610
შრომის ანაზღაურება	1779.019	1646.114	0.000	1646.114	1324.480	0.000	1324.480
საქონელი და მომსახურება	704.401	1024.164	0.000	1024.164	949.975	0.000	949.975



პროცენტი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
სუბსიდიები	1160.938	1226.300	0.000	1226.300	1375.695	0.000	1375.695
გრანტები	0.000	0.000	0.000	0.000	204.000	0.000	204.000
სოციალური უზრუნველყოფა	242.477	324.422	0.000	324.422	234.460	0.000	234.460
სხვა ხარჯები	0.000	40.000	0.000	40.000	40.000	0.000	40.000
საოპრაციო სალდო	1729.320	2371.611	602.770	1768.841	3131.819	606.372	2525.447
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1523.530	3423.939	602.770	2821.169	4008.615	606.372	3402.243
ზრდა	1523.530	3423.939	602.770	2821.169	4008.615	606.372	3402.243
კლება	0.000	0.000			0.000		
მთლიანი სალდო	205.790	-1052.328	0.000	-1052.328	-876.796	0.000	-876.796
ფინანსური აქტივების ცვლილება	-856.478	-1052.698	0.000	-1052.698	-892.296	0.000	-892.296
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ვალუტა და დეპოზიტი	0.000	0.000			0.000		
სესხები	0.000	0.000			0.000		
კლება	856.478	1052.698	0.000	1052.698	892.296	0.000	892.296
ვალუტა და დეპოზიტი	856.478	1052.698		1052.698	892.296		892.296
სესხები	0.000	0.000			0.000		
ვალდებულებების ცვლილება	-9.570	-0.370	0.000	-0.370	-15.500	0.000	-15.500
ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
საშინაო	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
საგარეო	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
კლება	9.570	0.370	0.000	0.370	15.500	0.000	15.500
საშინაო	9.570	0.370		0.370	15.500		15.500
საგარეო	0.000	0.000			0.000		
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	5,616.155	6,632.611	602.770	6,029.841	7,260.429	606.372	6,654.057
შემოსავლები	5,616.155	6,632.611	602.770	6,029.841	7,260.429	606.372	6,654.057
არაფინანსური აქტივების კლება	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
ვალდებულებების ზრდა	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
გადასახდელები	5,419.935	7,685.309	602.770	7,082.539	8,152.725	606.372	7,546.353
ხარჯები	3,886.835	4,261.000	0.000	4,261.000	4,128.610	0.000	4,128.610
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,523.530	3,423.939	602.770	2,821.169	4,008.615	606.372	3,402.243
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ვალდებულებების კლება	9.570	0.370	0.000	0.370	15.500	0.000	15.500
ნაშთის ცვლელბა	196.220	-1,052.698	0.000	-1,052.698	-892.296	0.000	-892.296

მუხლი 3. შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7 260 429 ლარის ოდენობით

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	5,616.155	6,632.611	602.770	6,029.841	7,260.429	606.372	6,654.057
გადასახადები	196.540	229.000	0.000	229.000	385.900	0.000	385.900
გრანტები	5,074.723	6,114.143	602.770	5,511.373	6,672.629	606.372	6,066.257
სხვა შემოსავლები	344.892	289.468	0.000	289.468	201.900	0.000	201.900

მუხლი 4. შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები

განისაზღვროს შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადები 385 900 ლარის ოდენობით

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	196.540	229.000	0.000	229.000	385.900	0.000	385.900
ქონების გადასახადი	196.540	229.000	0.000	229.000	385.900	0.000	385.900
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	184.507	223.200		223.200	379.900		379.900
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.120	0.800		0.800	1.000		1.000



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1.114	0.000			0.000		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	10.799	5.000		5.000	5.000		5.000
სხვა გადასახადი ქონებაზე	0.000	0.000			0.000		
სხვა გადასახადი	0.000	0.000			0.000		

მუხლი 5. შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს შუახევის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გრანტების პროექტი 6 672 629 ლარის ოდენობით

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	5,074.723	6,114.143	602.770	5,511.373	6,672.629	606.372	6,066.257
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	1,031.158	1,334.791		1,334.791	1,500.000		1,500.000
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4,043.565	4,612.470	602.770	4,009.700	4,839.072	606.372	4,232.700
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,417.220	4,009.700	0.000	4,009.700	4,232.700	0.000	4,232.700
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,417.220	4,009.700		4,009.700	4,232.700		4,232.700
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	626.345	602.770	602.770	0.000	606.372	606.372	0.000
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	626.345	602.770	602.770		606.372	606.372	
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0.000	0.000			0.000		
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.000	0.000			0.000		
სხვა ტრანსფერები	0.000	166.882		166.882	333.557		333.557

მუხლი 6. შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 201 900 ლარის ოდენობით

	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა		2015 წლის გეგმა	



დასახელება	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	344.892	289.468	0.000	289.468	201.900	0.000	201.900
შემოსავლები საკუთრებიდან	202.990	218.800	0.000	218.800	149.200	0.000	149.200
პროცენტები	135.603	151.000	0.000	151.000	81.400	0.000	81.400
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	135.603	151.000		151.000	81.400		81.400
რენტა	67.387	67.800	0.000	67.800	67.800	0.000	67.800
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	67.022	67.800		67.800	67.800		67.800
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	0.365	0.000			0.000		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	5.178	12.000	0.000	12.000	15.200	0.000	15.200
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	-20.029	7.000	0.000	7.000	10.200	0.000	10.200
სანებართვო მოსაკრებელი	0.751	1.000		1.000	1.000		1.000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	0.751	1.000		1.000	1.000		1.000
სახელმწიფო ბაჟი	0.000	0.000			0.000		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.063	0.000			0.000		
სატენდერო მოსაკრებელი	0.000	0.000			0.000		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.000	0.000			0.000		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	-27.955	0.000			0.000		
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	7.175	6.000		6.000	9.200		9.200
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	25.144	5.000	0.000	5.000	5.000	0.000	5.000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	25.144	5.000	0.000	5.000	5.000	0.000	5.000
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	0.000	0.000			0.000		
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	25.144	5.000	0.000	5.000	5.000	0.000	5.000
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	11.902	5.000		5.000	5.000		5.000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	13.242	0.000			0.000		
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	129.441	58.668		58.668	37.500		37.500
შერეული და სხვა							



არაკლასიფიცირებული შემოსავლები	7.283	0.000			0.000		
--------------------------------	-------	-------	--	--	-------	--	--

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 4 128 610 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3,886.835	4,261.000	0.000	4,261.000	4,128.610	0.000	4,128.610
შრომის ანაზღაურება	1,779.019	1,646.114	0.000	1,646.114	1,324.480	0.000	1,324.480
საქონელი და მომსახურება	704.401	1,024.164	0.000	1,024.164	949.975	0.000	949.975
პროცენტი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
სუბსიდიები	1,160.938	1,226.300	0.000	1,226.300	1,375.695	0.000	1,375.695
გრანტები					204.000	0.000	204.000
სოციალური უზრუნველყოფა	242.477	324.422	0.000	324.422	234.460	0.000	234.460
სხვა ხარჯი	0.000	40.000	0.000	40.000	40.000	0.000	40.000

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4 008 615 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4 008 615 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	49.840	98.271	0.000	98.271	20.630	0.000	20.630
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1.470	205.500	0.000	205.500	0.000	0.000	0.000
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	990.534	2662.274	602.770	2059.504	3283.092	606.372	2676.720
განათლება	9.532	125.000	0.000	125.000	600.000	0.000	600.000



კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	467.483	327.409	0.000	327.409	104.893	0.000	104.893
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4.671	5.485	0.000	5.485	0.000	0.000	0.000
ჯამი	1523.530	3423.939	602.770	2821.169	4008.615	606.372	3402.243
ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით							
დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივები	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ძირითადი აქტივები	0.000	0.000			0.000		
არაწარმოებული აქტივები	0.000	0.000			0.000		

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა		2015 წლის გეგმა	
გადასახდელების (ხარჯების) დასახელება					



	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,695.634	1,887.823	0.000	1,887.823	1,880.770	0.000	1,880.770
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,695.634	1,702.399	0.000	1,702.399	1,714.923	0.000	1,714.923
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,597.734	1,547.389		1,547.389	1,674.923		1,674.923
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	97.900	155.010		155.010	40.000		40.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.000	185.424		185.424	165.847		165.847
თავდაცვა	92.214	102.702	0.000	102.702	74.020	0.000	74.020
სამოქალაქო თავდაცვა	92.214	102.702		102.702	74.020		74.020
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	239.592	468.496	0.000	468.496	235.520	0.000	235.520
პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.000	0.000		0.000	0.000		0.000
სახანძრო სამსახური	239.592	468.496		468.496	235.520		235.520
ეკონომიკური საქმიანობა	155.932	192.903	0.000	192.903	130.000	0.000	130.000
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა							
ტრანსპორტი	28.000	54.640		54.640	130.000		130.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	127.932	138.263		138.263	0.000		0.000
გარემოს დაცვა	107.920	289.360	0.000	289.360	105.000	0.000	105.000
ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	95.345	133.480		133.480	105.000		105.000
ჩამდინარე წყლების მართვა	12.575	155.880		155.880	0.000		0.000
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,196.761	2,740.834	602.770	2,138.064	3,464.122	0.000	3,464.122
კომუნალური მეურნეობის განვითარება	121.663	345.003		345.003	401.500		401.500
წყალმომარაგება	291.122	1,583.801		1,583.801	2,062.250		2,062.250
გარე განათება	54.985	50.000		50.000	310.000		310.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-	728.991	762.030	602.770	159.260	690.372		690.372



კომუნალურ მეურნეობაში							
ჯამრთელობის დაცვა	70.430	154.917	0.000	154.917	129.100	0.000	129.100
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება							
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯამრთელობის დაცვის სფეროში	70.430	154.917		154.917	129.100		129.100
დასვენება, კულტურა და რელიგია	1,094.466	991.814	0.000	991.814	697.993	0.000	697.993
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	562.411	328.454		328.454	220.893		220.893
მომსახურება კულტურის სფეროში	455.835	500.995		500.995	462.100		462.100
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	8.274	15.000		15.000	15.000		15.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	67.946	147.365		147.365	0.000		0.000
განათლება	521.109	681.490	0.000	681.490	1,248.400	0.000	1,248.400
სკოლამდელი აღზრდა	318.062	342.340		342.340	852.525		852.525
ზოგადი განათლება	0.000	0.000			0.000		
განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0.000	0.000			0.000		
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	203.047	339.150		339.150	395.875		395.875
სოციალური დაცვა	236.307	174.600	0.000	174.600	172.300	0.000	172.300
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომელიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	34.153	38.000		38.000	38.000		38.000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	202.154	136.600		136.600	134.300		134.300
სულ ბიუჯეტის გადასახდელები	5,410.365	7,684.939	602.770	7,082.169	8,137.225	0.000	8,137.225

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -892296 ლარის ოდენობით

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -892296 ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება -892296 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -15500 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 40000 ათასი ლარის ოდენობით მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები



მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საქმიანობის ხელშეწყობას.

1.2 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 02)

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია შემდგომი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, მისი ექსპლოატაცია ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, სანიტარული დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, მაწანწალა ცხოველებთან და მღრნელებთან ბრძოლა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

შუახვევის მუნიციპალიტეტი მაღალმთიან რეგიონს განეკუთვნება, ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ამ კუთხით გათვალისწინებულიასოფელ კლდისუბნის ხიდის და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია რაზეც გამოყოფილია 50000 ლარი. ასევე რამოდენიმე სოფელში გზებს ჩაუტარდება რეაბილიტაცია.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემას.

1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

(პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე



განათების არსებული ქსელის (სულ 482 სანათი წერტილი) ექსპლოატაცია. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია დაბისა და მიმდებარე სოფლებისათვის შიპჩამქერების და საჭირო მოწყობილობების შექმნა და 16 ახალი წერტილის

დასუფთავების ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სანიტარული დასუფთავების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ორი ღონისძიება:

1. დაბისა და ხიჭაურის ტერიტორიის დასუფთავება-93200 ლარი,
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა-31700 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება - 81992 კვ.მ, მწვანე საფარის დასუფთავება-39700 კვ.მ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა - 1000 მ³ კონტეინერების მოვლა-პატრონობა 40 ცალი.

აგრეთვე ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მეეზოვეებისა და კომუნალურში მომსახურეთა უნიფორმით უზრუნველყოფა.

1. უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაცია

(პროგრამული კოდი 03 02 02 02)

პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ცხოველების განუყოფელ ნაწილს. იგი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ეხება სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვას, მაწანწალა ცხოველებთან ბრძოლას. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გაუნებელყოფა. რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. დასახლებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვას, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ჩამოსულ სტუმართა კეთილდღეობას.

1. წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები

(პირობითი კოდი 03 02 03)

მოსახლეობის სასმელი წყლით მიმარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. უნდა აღინიშნოს რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სულ მუნიციპალიტეტში 13 მაგისტრალია და საჭიროების შემთხვევაში უტარდება მიმდინარე რემონტი. 2015 წელში 2014 წელში დაგეგმილია ასევე მუნიციპალიტეტის 4 სოფელში დაგეგმილია ორი ახალი მაგისტრალის მშენებლობა 1250000 ლარის. ხიჭაურში დაგეგმილია სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მშენებლობა 70000 ლარის. ასევე მოსახლეობის სასმელი წყლის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 70000 ლარის სასმელი წყლის მიღების შექმნა. წყალმომარაგების სისტემის გამართული მუშაობისა და გაუთვალისწინებელი შემთხვევების აღმოფხვრისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „შუახვევის წყალკანალი“, სადაც დასაქმებულია 27 თანამშრომელი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის ფუნქციონირებს სარწყავი არხების მოვლა-შენახვის პროგრამა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 39 სარწყავი არხი, სადაც დასაქმებულია (4 თვის განმავლობაში) 53 კაცი, რომლებიც უზრუნველყოფენ 243 კმ სიგრძის არხების მოვლა-პატრონობას. აღნიშნული არხებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის სოფლების 3110 ოჯახი.

2,2,5 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები

(პროგრამული კოდი 03 02 04)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბის კეთილმოწყობის ღონისძიებები: კერძოდ, მოეწყობა დაბისა და ხიჭაურის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების გარე ფასადების კეთილმოწყობა რაზეც გათვალისწინებულია 300000 ლარი. სოფელ ჯაბნიძეებში აშენდება სოფლის სახლი.

2.3. გამწვანების ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შესაქმნელად მეტად მნიშვნელოვანია დაბის ტერიტორიის გამწვანება და ნარგავების მოვლა-პატრონობა. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დაბის ტერიტორიაზე ნარგავების გაშენებას და არსებული ნარგავების მოვლა-პატრონობას (მორწყვას, გასხვლას) მუნიციპალიტეტის არსებული მწვანე საფარის დასუფთავებას. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ნერგის დარგვა; მწვანე საფარის გასხვლა-გაწმენდა; ნარგავების თოვლისაგან გაწმენდა.

3. საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

3.1 სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლების 2015 წლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 357625 ლარს. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 5 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 200 ბავშვი. სამტატო რიცხოვნობა 2015 წლისათვის შეადგენს 67 ერთეულს. დაგეგმილია სამი ახალი ბაღის მშენებლობა 450000 ლარის.

3. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ნიგაზეულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა, რაც აღნიშნულ სოფლებში სკოლების სიშორის გამო არის გამოწვევული. ყოველივე ეს გააუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლის, განათლების და ჯამრთელობის დაცვისათვის სათანადო პირობებს. აშენდება სოფელ პაპოშვილებში არასრული საშუალო სკოლა 150000 ლარის ღირებულების.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერი ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2015 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, დაფინანსდება: საფეხბურთო კლუბი „მერანი“ და აიპი „შუახევის სასპორტო სკოლა“, ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით დაბა შუახევში ფუნქციონირებს რაგბის ორი წრე, სადაც დაკავებულია 36 ბავშვი. აღნიშნული სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს



ჭიდაობის (ქართული, ძიუდო და თავისუფალი ჭიდაობა) წრეები სადაც დაკავებულია 163 ბავშვი და სათხილამურო სპორტის 5 ჯგუფი, რომელშიც ასევე 82 ბავშვი ვარჯიშობს. აღმზრდელ-მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 17-ს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

პროგრამის ფარგლებში 2015 წელს დასრულდება ფურტიოს რაგბის მოედანი. ასევე სოფელ წაბლანა-ნაღვარეში მოეწყობა ახალი სპორტიული მოედნები, დასრულდება სოფელ ნენიის სპორტულ მოედანზე შავი საფარის დაგება. მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული დანიშნულების ქსელის გაფართოება. თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. არსებული საშუალებების მაქსიმალურად ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა. დაგეგმილია ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია.

4.2.1 ა.ი.პ შუახევის კულტურის ცენტრი(პროგრამული კოდი 05 02 01)

შუახევის კულტურის ცენტრი აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვადასხვა ფოლკლორულ და ვოკალურ ანსამბლებს რომლებმაც წარმატებით გაიარეს სახელმწიფო აკრედიტაცია და აქვთ საკმაოდ დიდი მიღწევები, კულტურის ცენტრში აგრეთვე მოქმედებს დრამატურისა და ნორჩ დეკლამატორთა შემსწავლელი წრე, ლიტერატურისა და ტურიზმის, ხელოვნების, ქსოვის, ქარგვის, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხატვისა და დაწყებითი მოდელირების წრეები რომელშიც 50 მოსწავლეა ჩართული. ყოველივე აქედან გამომდინარე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები ანსამბლების ფორმებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებებში და გამოფენებში მონაწილეობა.

4.2.2 ა.ა.ი.პ შუახევის ხელოვნების სკოლა

(პროგრამული კოდი 05 02 02)

აიპი შუახევის „სახელოვნებო სკოლა“-ში ამჟამად სწავლობს 84 ბავშვი, წლიური შენატანი თითოეულ ბავშვზე შეადგენს არსებობს სამი ჯგუფი: საფორტეპიანო, საორკესტრო და ხალხური ჯგუფები, სკოლაში მუშაობს 12 პედაგოგი. ყოველივე აქედა გამომდინარე მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას.

4.2,3 ახალგაზრდული პროგრამების და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5,1 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა



(პროგრამული კოდი 06 01)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამ კუთხით მუნიციპალიტეტში მოქმედებს 2 მიზნობრივი პროგრამა. რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას.

5.1.1 ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების (ეპილეფსიით) მედიკამენტური დახმარების პროგრამა (პირობითი კოდი 06 01 01)

ეპილეფსია ქრონიკული ნერვულ-ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი გულყრებით. ეპილეფსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში, ისე მოზარდებში რაც გამოწვეულია თავის ტვინის მთელი რიგი ასაკობრივი თავისებურებებით. დაავადების მიმდინარეობის მთავარი პრინციპი ანტი ეპილეფსიური მედიკამენტების სისტემატიური მიღებაა, დროული მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე დაავადება იწვევს ინვალიდობას ან შეიძლება დამთავრდეს ფატალური შედეგით. შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო წლებში ეპილეფსიით დაავადებულ მოქალაქეთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რომლებიც არიან უკიდურესად გაჭირვებულები და აღნიშნულის პრევენციის მიზნით ხდება საჭიროებისამებრ მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

5.1.3 აიპ შუახვევის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული იქნა შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიების ტრანსპორტითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მდებარე თემები და სოფლები მნიშვნელოვნად დაშორებულია დაბის ცენტრთან, მოსახლეობის პირველადი სამედიცინო მომსახურებისა და ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის აღნიშნული პროგრამით შესაძლებელი იქნება თემებში მდებარე ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფა და თემებში დასაქმებული მედპერსონალის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობას გაეწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიებს გადაეცემათ 8 ავტომობილი-ნივა, რომელიც მოსახლეობაზე პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის მეზნით უზრუნველყოფს ამბულატორიის მედპერსონალის ტრანსპორტირებას.

5.2 სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 02 01)

უფასო სასადილოს პროგრამითსარგებლობენ შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი უკიდურესად გაჭირვებული, მარტოხელა, მზრუნველობამოკლებული და უმწეო მდგომარეობაში მყოფი 42 ბენეფიციარი. ხორციელდება ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფა.

5.2.3 პირველი და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება ზემოაღნიშნული პროგრამა რომელიც ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას:

პირველი შვილის შეძენის შემთხვევაში 300 ლარი;



მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 400 ლარი;

- მესამე შვილის შეძენის შემთხვევაში 500 ლარი;
- მეოთხე შვილის შეძენის შემთხვევაში 700 ლარი;
- მეხუთე და მომდევნო შვილის შეძენის შემთხვევაში 900 ლარი;

5.2.4 ხუთ და მეტ 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04)

მუნიციპალიტეტის მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში 32 მრავალშვილიანი ოჯახს გაეწევა დახმარება, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

5.2.5 სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის მოხდება დახმარების გაცემა თითოეულ ოჯახზე 250 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში).

5.2. 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ყოველთვიური მატერიალური დახმარებები (პროგრამული კოდი 06 02 07)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა. თითოეულზე ყოველწლიურად 1000 ლარის ოდენობით, აღნიშნული პროგრამით სარგებლობს 8 ბავშვი.

5.2.9 შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალზზე მყოფი ავადმყოფების ტრანსპორტირების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08)

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების სატარებლად ტრანსპორტირებისათვის ფინანსურ დახმარებას. აღნიშნული ბენეფიციარები ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და არ აქვთ ტრანსპორტირების ხარჯები. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერას წარმოადგენს.

თავი III

შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 16. შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

